

კიბერ საფრთხეების გავლენა არასრულწლოვანთა მიერ სუიციდის
მცდელობაზე

თამარი კარბაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი

ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ
მუშაობაში, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ფსიქოლოგიაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარი კარბაია

21.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება თვითმკვლელობის, როგორც პრევენცირებადი ფენომენის განხილვას. ძირითადი აქცენტი კეთდება პრევენციის სტრატეგიულ მიმართულებებზე, რომელთა შორის ერთ-ერთი ფუნდამენტურია სწორი ინფორმაციის ფლობა და საზოგადოების მაღალი ცნობიერება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პროფესიული ჯგუფებისათვის, რომელთაც სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში აქვთ საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა.

თემის საკვლევი საკითხებია ძალადობრივი მესიჯების იდენტიფიცირება კიბერ ძალადობრივ თამაშებში, თუ რა კავშირს ხედავენ მსხვერპლის მშობლები, მეგობრები და პედაგოგები კიბერ ძალადობრივ თამაშებს და მსხვერპლის მიერ განხორციელებულ ქცევას შორის.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში სწორედ ამ მიმართულებით განხორციელდა თვისებრივ მეთოდზე დაფუძნებული კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს სპეციალისტების გამოცდილებისა და ინფორმირებულობის საფუძველზე გარკვეული რეკომენდაციების შემუშავებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კიბერ ძალადობა, კიბერ დანაშაული, სუიციდი, კბლევის მეთოდოლოგია, პრევენცია.

Abstract

The following work is dedicated to suicide. As a preventive phenomena it is very important to have proper information and society awareness about the following topic. This issue is important for the responsible groups of professionals in charge of public welfare.

The main topics of the research is identifying violent messages into the cyber games, finding the connection between the following games and behaviors of the victims.

It was carried out the research based onto the qualitative method. The goal of the research is to identify the opinions of the specialists in different sphere, that are competent about the following topic in order to make preventive recommendations and conclusions.

მადლობა

კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით მონაწილე ყველა პირს. განსაკუთრებით, რესპონდენტებს, კვლევის მიმართ მათი გულისხმიერი დამოკიდებულებისა და ნდობისათვის.

ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ შორენა სამაგლიშვილს, რომელიც ინტენსიურ რეჟიმში მიწევდა საგანმანათლებლო მხარდაჭერას და მისი ზედამხედველობის ფარგლებში შესაძლებლობა მქონდა მემუშავა სამაგისტრო ნაშრომზე.

ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროს სოციალურ მუშაკს, თეა კვაჩიძეს და ამავე სამხარეო ცენტრის ფსიქოლოგს მაკა კობრავას, რომელთაც მომაწოდეს მათი მოსაზრებები ნაშრომში განხილულ თემებთან დაკავშირებით.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს რესპონდენტებს, რომელთაც მათთვის საკმაოდ სენსიტიური საკითხების მიუხედავად, ამომწურავად მომაწოდეს საჭირო ინფორმაცია. განსაკუთრებით დასაფასებელია გარდაცვლილი გოგონას დედის მაქსიმალური ჩართულობა და მხარდაჭერა ჩემი ნაშრომი კვლევისათვის საჭირო მასალის მო